

შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი“

სN426109052

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი“ (კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 01 მარტის შპს რეილვეი ფროფერტი მენეჯმენტი“-ს ღირებულებით საბჭოს დადგენილება N4/1-ს საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრის მიერ 2010 წლის 06 აპრილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა“, საიდენტიფიკაციო ნომრით - 426109052, კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.ბორჯომი, თორის ქN1, კომპანიას 2017 წლის 30 მაისს შეეცვალა საფირმო სახელწოდება შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი“-თ.

კომპანია დაფუძნებულია შპს „რეილვეი ფროფერტი მენეჯმენტი“ -ს(შპს ჯიარ ქონების მართვა“)202460103- მიერ 100% წილით. 2019 01 იანვრიდან 2020 წლის 01 იანვრამდე 100 %-იანი წილის მფლობელია შპს „ჯიარ ქონების მართვა“ საიდენტიფიკაციო კოდით 202460103. კომპანიას მართავდა პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ემზარ მარიქაძე, ხოლო 2023 წლის 01 მარტიდან ლევან ფასოვეი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტსა და მასთან დაკავშირებული საქმიანობებს, კერძოდ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ექსპლოატაცია, რემონტი და მგზავრთა გადაყვანა.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსით ლარში. სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სხვაობები აისახება საკურსო სხვაობის სახით შედეგზე.

დებიტორული დავალიანება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შეძენილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის, მონტაჟის,ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ ხარჯს.

ახსნა განმარტებები ბალანსზე

ფულადი სახსრები

სალარო

საწარმოში შემოსული და გასული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში, შესაბამისად სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების მიხედვით. სალაროში 2023 წელში ნაღდი ფულის ბრუნვას ადგილი არ ქონია, ნაშთმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 0 ლარი.

ბანკი

საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილია ს.ს ლიბერთი ბანკსა და ს.ს საქართველოს ბანკში ეროვნულ ვალუტაში. საერთო ფულადი თანხა საბანკო ანგარიშებზე 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 110113 ლარს

საგაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნებმა მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგინა 18511 ლარი, სხვა წინასწარ გაწეულმა ხარჯებმა 2433 ლარი, ხოლო გადახდილმა ავანსებმა 239 ლარი.

საწესდებო კაპიტალის ვალდებულებამ შეადგინა 1754148 ლარი. საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობაში ზედმეტობა შეადგენს 6417 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენდა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის 611958 ლარს.

ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენდა 2504381 -ს, მათ შორის მიწის ღირებულებაა 686414 ლარი.

ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილმა ვალდებულებებმა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 24299 ლარი, გადასახდელმა ხელფასმა -210 ლარი, ხოლო გადასახდელმა საპენსიო ფონდის თანხამ -61 ლარი. მიღებულმა ავანსებმა შეადგინა 626 ლარი, შემოსავლების სამსახურის ზედმეტობამ შეადგინა 6417 ლარი.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალია 32339032 ლარი, კომპანიის დაუფარავი ზარალია 27355131 ლარი.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	01/01/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	110113	3002	31625
სავაჭრო მოთხოვნები	20944	23040	32977
გადახდილი ავანსები	239	239	239
მარაგები	611958	627961	733022
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	627961	733022
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	1754148	0	1177271
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2504381	3585261	3059764
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5001783	4239503	5034898
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	17882	16679	24000
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	120382	0
სულ ვალდებულებები	17882	137061	24000
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	32339032	29336506	29336506
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-27355131	-25234064	-24325608
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4983901	4102442	5010898
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5001783	4239503	5034898
სულ მოკლევადიანი აქტივები	131296	26281	1974205
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17882	137061	24000

ახსნა განმარტებები მოგება ზარალის ანგარიშგებაზე

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	2023	2022
ნეტო ამონაგები	279983	11359
საქონლის გაყიდვიდან	269768	0
მომსახურების გაწევიდან	2542	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	7673	11359
გაყიდვების თვითღირებულება	-332218	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	-52235	11359
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-785570	-810973
ცვეთა და ამორტიზაცია	-96072	-103296
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-562588	-636066
სულ საოპერაციო ხარჯები	-1444230	-1550335
საოპერაციო მოგება	-1496465	-1538976
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	3447	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-652590	628793
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	24541	1727
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2121067	-908456
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-2121067	-908456
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2121067	-908456
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4102442	5010898
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	3002526	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4983901	4102442

შემოსავალი:

2023 წელში სამგზავრო მატარებლის რეალიზაციიდან შემოსავალი არ მიგვიღია, სამგზავრო მატარებლის განუსაზღვრელი ვადით შეჩერების გამო, სატვირთო გადაზიდვებისგან მიღებულმა შემოსავალმა 2542 ლარი, ძირითადი საშუალებები რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 269768 ლარი, იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 7673 ლარი, სულ საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 279983 ლარი.

არასაოპერაციო შემოსავალმა 24541 ლარი.

ხარჯი:

2023 წელში გაყიდული ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაა 332218 ლარი, დასაქმებულთა ანაზღაურებამ შეადგინა 785570 ლარი. დასაქმებულთა დაზღვევაა 42809 ლარი, ა/მანქანის დაზღვევამ 712 ლ, ამორტიზაციამ 96072 ლარი, კომუნალური გადასახადია 4454 ლარი, კომუნიკაციის ხარჯებია 1662 ლარი, მიწისა და ქონების გადასახადებია 451857 ლარი, სხვა საერთო ხარჯებია 61094 ლარი, სხვა მარაგების გაუფასურების ხარჯია -3447 ლარი, ძირითადი საშუალების გაუფასურების ხარჯია 652590 ლარი, სულ ხარჯმა შეადგინა 2425591 ლარი.

სულ ზარალმა შეადგინა 2121067 ლარი.

ფულადი ნაკადების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1030799.0	-1326396
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	127996	1296512
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	9914	1261
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	107111	-28623
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3002	31625
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	110113	3002

მპს „ჯიარ ბორჯომი ბაკურიანი“-ს

დირექტორი

ლ.ფასოევი